

მასხარა



№ 3. უოველკვირეული კარიკატურებიანი გაზეთი. 24 ივნისი 1907 წ.

მიიღება ხელის მოწერა საპოლიტიკო-სალიტერატურო კარიკატურებიანი იუმორისტულ ჟურნალ

„მასხარა“-ზედ

ჟურნალი გამოვა კვირაში ერთხელ

- წლიური ხელის მომწერათათვის ეღირება — 5 მან.
- თვიურათათვის 40 კაპ.
- ცალკე ნომერი ღირს ყველგან 10 კაპ.
- განცხადება პირველ გვერდზედ პეტიტით ღირს—50 კაპ.
- „ „ „ „ „ უანახსენებულ—20 კაპ.

პროვინციაში გაზეთები იყიდება შემდეგ პირებთან:
 გორში—წიგნის მაღაზიაში, არჩევან და მაისურა-
 ძესთან; ყვირილაში—„სორაპნის“ წიგნის მაღაზიაში;
 ჭიათურაში—ისაია ცერცვაძესთან; ქუთაისში
 —ისილორე კვიციანიძესთან; სამტრედიაში და ფოთში—
 კობრეიძეებთან; ბათუმში—კალანდაძესთან.
 დროებითი ადრესი: Тифлиς, Типография Т-ва „Сорапань“ для газеты „Масхара“.



როჭეა.

აბა, ვინც უფრო ლამაზები ხართ მოდიო ჩემსკენ... გენაცვალეთ სულის კლიტეში!



Handwritten notes in Georgian script:
 დასრულდა
 1907 წლის
 ივნისის 24-ს
 მასხარის
 რედაქციაში

შენ მიუბნები.

შენ მეუბნები, რომ შეგიყვარა
და შენც ჩემს გულში მოგვცე მე ბინა?
მაგრამ, საბრალოვ, ნუ თუ არ იცი,—
რასა ვსახურებ, რა მიღვეს წინა?!

კვლავ მიმეორებ მე შენს სიყვარულს
და გსურს მოგიღვნა ალერსი, ხევინა?
მაგრამ ნუ თუ შენ ის გავიწყდება,—
რომ მომავალში მომელის ღვენა?!

ოდეს გულსა სწყლავს ნაღველი მწარე,
ვით გაგავარნო მე შენ ხმა ტბილი?
ნუ თუ არ იცი, რომ მომავალში
მელის ვაგება, ციხე, ბორკილი?!

შენ მეფიცებ, რომ სიკვდილამდის
მხოლოდ და მხოლოდ მე გეყვარები,
მაგრამ, მხიბლავო! ნუ თუ არ გემისი,
რომ ჯაშუშს ვერსად დავემალები?!

ხომ კარგათ იცი წყვილიდნე ვიცხოვრობ!
შენ ვით ვაღიროსო ტურფა ვანთიადს?
საბრალოდგო! რათ გავიწყდება,
რომ ველი მარად ჯალათის ტყეისა?!

შენ ელი ჩემგან წმიდა სიყვარულს—
იმ დროს, როდესაც ჩემთვის მთლიან ბნელა?
და მომავალში მე არ ამცდება
ყელში ბაწარი და სახრჩობელა?!

აბა რას მირჩევ? კარგად დაფიქრიდი.
ტურფავ ცბიერო და მუხანათო!

გველ-ვეშაპი.

(ზღაპარი).

იყო და არა იყორა—იყო ერთი გველ-
ვეშაპი, რომელიც წარსულ უფსკრულის
დროთა ბრუნვამ წარმოშვა. მისი ბქყერი-
ალა ლეში ასი ათასობრივ დიდ და პატარა
გველებთან და მათ წიწილებთან ერთად
მთელი თავისი სიმძიმით აუტანელ ტვირ-
თან აწვა იმ ქვეყნის მცხოვრებლებს, სადაც
ეს გველ-ვეშაპი სცხოვრობდა.

ცხოვრება დაგუბებულ და აშორებულ
უხარამზარ მწვანე ხავს გადაკრულ ქაობს
წარმოადგენდა; მოშამული და დახშული
ჰაერი სიმყრალით იყო გაყენითილი.

ყველგან ბნელიდა; დაბრმავებული
მცხოვრებლები წყვილიდნე უგზო-უკვლოდ
დაფარფატობდნენ.

გველ-ვეშაპი კი თავის უთვალავ ბარ-
ტყებთან და წიწილებთან ერთად ვანცხ-
რომით იზღაზნებოდა, იგრინებოდა და
თავის გველიძუ კანონ-წყსებით შებოქილ
ხალხს—ბრაზიანი ნესტრებით სისხლს
სიამოვნებით სწყწინდა.

ქაობში დასუქებული, გაბერილი და
გაუმძღარი წურბულებიც ბლომდ და-
ცურავდნენ, რომლებიც გველ-ვეშაპთან
ერთად მშრომელების სისხლს დაუზოგა-
ვად გაიხლებოდნენ.

ნუ თუ შენ ფიქრობ, რომ ჩემს რწმენას
და ჩემს იდეას მე უღალატო?!

არა! სტყულებდი! ვიდრე ცოცხალვარ.—
მე სიყვარული მხოლოდ მისი მრწამს,
რაც მომდუნს შევბას მრავალგზის განჯულს
და გამოთენებს დიად განთიადს!...

მას შეგიყვარებ, ვინც ჩემთან ერთად
მოითმენს სიკვდილს, გაეკვრის ჯვარსა
და თვის სიკვდილით ცრემლებს შეუშრობს
მონობის ტვირთ ქვეშ მკვინავსა ხალხსა!.

და თუ ისურვებ ეს წმიდა მცნება
და ჩემი რწმენა შენათ დასახო—
მაშ მეც გრთავ ნებას, რომ შემიყვარო
და საპასუხით პირადათ მნახო!!

მიმინო.

ახალ ამბები.

დაჯარიმებულ იქნა გოლოს „კავკასას“
რედაქტორი 3,000 მანეთით ვაგეთში
მავნე მიმართულების წერილების ბექდ-
ვისათვის. რედაქტორს ებძანა სამი საათის
განმავლობაში ვაგიდეს ქალაქ თბილი-
სიღვან.

როგორც სარწმუნო წყაროდან
ვაგივით ოსურგეთის ვილდის კუბეც—
ბიურკოკატ ვლ ხ—ქეს კრამოლების
დაქვრაში ენერგიული ზომების მიღების
გამო მედლი მოსვლია ზედ წარწერით
„შპიკი.“

ჩვენ ხელთ ჩავგივარდა ერთი ფრი-

ჟამთა ვითარებაში ამ ქვეყნის მცხოვ-
რბნი დასუსტდნენ და გამოიფიტნენ.
ყველა ქვეწარმავლებს მასზრდობელი
სისხლი დააკლა. აფუსფუსდნენ დამ-
შეული წურბელები, აიშლნენ გველებიც
და აქეთ-იქით მიაწყდნენ.

გამქრახხმა ღორ-მუცელა გველ-ვეშაპმა
გადაავლო თვალი მდღარ მხარეს და მის
დასაპყრობად შეკყარა მან ვათახსირებულ
მონების უთვალავი ლაშქარი, წინ გულადი
გველები გაუძლოდა და ვაბედულად შეი-
ქრა აღთქმულ ქვეყანაში.

ამ მსუქან ლუქმაზე მეზობელ ბაყბაყ
ღვესაც თვალი ექირა. არ ეკაშნიკა გველ-
ვეშაპის ასეთი თავხედობა და წინ თავის
დაგეშილი ლაშქარი გადაუღობა.

თავ-განწირვით ევეთნენ ერთმანეთს
ორი მრავალ რიცხოვანი ლაშქარი; აღ-
მოსავლეთი წითლად შეიღება. ყველგან
სისხლის მორეგები დაღვა. ბრძოლის ხმა
მთელი დედა-მამის ყურადღებას იქცევდა;
მაგრამ უძლიერეს გველ-ვეშაპის უძლე-
ველი ლაშქარი ჩქარა შედრკა, შეშინდა
და ამაყ გველების მეთაურობით კობსავით
სულ უკან უკან იხევდა.

ბრძოლამ კლდით კლდემდე შეარყია
სახემღწიფო შენობა; ბრძოლის სისხლის
წინწყლებმა და ნაპერწყლებმა წყვილიდი

და საყურადღებო წერილი, რომელზედაც
დახატულია: კუბო, სასაფლაო, ყუმბა-
რა, დამბაჩა და „მკვეთი მახვილი“ ზედ
დაკრულია შტემბელი შემდგის წარწე-
რით: „Группа Анархистъ—Терориче-
ская. მაგრამ რომ ეს ბარათი ეკუთვნის
ვილაც ქუჩის მაწანწალა მანტაჟისტის“
და არა მართლა ანარქისტებს და სხვა—
რომელიმე პარტიებს ეს სჩანს იქიდანაც,
რომ ამ წერილის დაშვები ნამდვილი
გრამატიკონი უნდა იყოს და, როგორც
ეტყობა, ახალი რუსული გრამატიკის
ფედგენა სლომბია, ალბათ გამოსაცემი
შული არა აქვს და ამიტომაც ის ნიკო-
ლოზ შენგელიას (ბარათს მას უგზავნის-
ავლაბარში) 400 მან- სთხოვს ამ გრამა-
ტიკის დასაბეჭდავით. უფრო მეტი კური-
ოზისთვის მოგვცავს თვით ამ წერილის
მინაარსიც:

Парти анахисти ми Никола при-
гадови 400 руб если не пригадовитъ
14 юна какта бутетъ плахой завтра
ми притомъ Армянски накладбеши
хочиванкъ если не дасть тебе голово
снетъ если ваши дѣтѣи ѣли синя
тѣѣ Паинмаимъ убнумъ какъ сабакъ ми
не бамся изъ Палиса не .каво ен
бантѣя А если твау глову Праташь
за дѣнки Етъ наши ни жарка
Парти Анахисти раздѣлитъ на 8
мѣсти вечеро 8 часо

განათეს; ამას მოჰყვა განმთავისუფლე-
ბელი სოს სისინი, რომელმაც წყვილი-
დის ღრუბლები აქეთ-იქით მიფანტ-მო-
ფანტა და ქვეყანა საამურად ააბინდა;
მან შეტარტმანა შხამით გაყენითილი
ჰაერიც და ყველგან გამაცოცხლებელ
კამკამა ნაკალულებად მიმოიფანტა.

შედრკა შეუდრეკელი მონობის ბუ-
რჯი გველ-ვეშაპი, სამარცხენით დამა-
რცხდა. ბრძოლის ველზე ერთი თავი ვა-
სრესილი დასტოვა და კუდ-ამოძულებული
ერთი თავით-ლა მიქცა თავის ქაობში.

ბრძოლა ახლა შინ გაჩალიდა; ვაჯა-
ვრებულმა გველ-ვეშაპმა მთელი თავისი
რისხვა ვათავხედებულ მონებს ვადაყარა.
ამოძრავდა ბნელეთი. ხავსიდან სისინით
გამოძვრნენ ქვეწარმავალნი, რომელნიც
შურის საძიებლად მტრებს შხამიანად მი-
ხუნენ. ბნელეთმა სძლია სინათლეს.
მყარლი ჰაერის ტალღებმაც დაახშეს სი-
ოს თავისუფალი ნაკალულები. ხავსი
კვლავ გადაეფარა ცხოვრებას და ქაობი
სამარისებრად დამლორდა.

მაღალი გრძნობები და აზროვნობა
შეიბოქა; ბევრი საუკეთესო შვილი წუთი-
სოფელს მოსწყდა. მთელი ქვეყანა უზარ
მზარ ციხედ გადაიქცა. გველ-ვეშაპის-
გან დაწულ ბადეში კვლავ იქაჩებოდნენ
მონები.



ბოკაჩოს ნოველა.

ფიქოლელი ხუცესი.

ძველად ფიქოლელი იყო დიდი ქალაქი. თუმცა ეს ქალაქი დაქვეითდა, დეცა, მაგრამ იქ დღესაცაა ეპისკოპოსი, როგორც ყოფილა უწინ. აქ ტაძრის მახლობლად ცხოვრებდა თავის საკუთარ სახლში ერთი კეთილშობილი ქერივი დედა-კაცი, პიკარდა. ეს ქერივი არ იყო მდიდარი და იძულებული გახლდა მეტი ნაწილი მთელი წლისა გაუხუცელებად შინ გაეტარებინა. იმასთან ცხოვრებდა ორი მისი ძმაც; მეტად სასიყვარულო და კეთილ-ზრდილობიანი ახალგაზრდა კაცები იყვნენ. ეს ქერივი დედა-კაცი ხშირად დადიოდა ტაძარში. რადგანაც

მაგრამ, აი, მძლავრად გაისმა შურომელთა მიმწყდარი ხმა და დეც-გმირულად მიაჩნ-მოაჩნია მთელი ქაობი; დაგუბებულმა ბოლომდ შეუპოვრად გადმოხეთქა გულის სივრცეიდან. შრომა შეჩერდა, შესწყდა ცხოვრების მაჯის ცემა; სიცოცხლის ნიშან-წყალი გაქრა. დაკოყიებულმა ხელმა ღონივრად წაუქირა ყელში გაღალბებულ გველ-ვეშაპს.

თავ-ხარი დეცა, გონება დაებნა, თავი მოიკატუნა ზე ხალხის თვალის ასახვევით, მკირებნას ხელი აიღო სისაძაგლეზე. მუსიკე ხავის ზეწარი ჩამოშორდა ცხოვრებას და თავისუფლების სიხვემამ მოიკო ყველაფერი; ძალუმად დაბერა თავისუფლების ქარიშხალმა, რომელიც შურდულივით შეიქრა მყარად ჰაერში და აქეთ-იქით მიჰფანტა ცხოვრების ჰორიზონტიდგან შვიი ღრუბლებით. ნაუწყებად დაგლეჯილი ხავსი გაწყალდა.

ხალხის ზღაგ-გული აღელდა, თავისუფლება აგრგინდა, ჰაერი ხალხის საამო ყრიაშულმა დაიპყრო. ახრი განთავისუფლდა, მაღალი გრძნობები წარმოიშვა.

წერილ-ფეხა ქვეწარმავალნი ერთ ხნობით მივისენენ თავისუფლებას, რომელიც უმანკო სისხლით შედებეს, მაგრამ მისმა მოზღვავებულმა ნიაღვარმა ისინიც გაი-

იგი იყო მეტად ახალ-გაზრდა, ლამაზი და სათნოიანი, ერთობ შეუყვარდა ხუცესს. დიდი ხანიც არ გავიდა, რომ ხუცესი გამოუტყდა თვის გულის ფანტკალს საყვარელ ქერივს და თანაც შევედრა, რომ იგი თავიანთად მოპყრობდა მას და შეყვარებინა იგი ისე, როგორც ხუცესს თვითან უყვარდა ქერივი.

თუმცა ხუცესი შეხედულეობით მოხუცი იყო, გულით კი ახალ-გაზრდებსაც აკარბებდა. იგი იყო კაცი ამაყობა მდიდური და, რაღა თქმა უნდა, დიდი შეხედულება ჰქონდა თავის თავზე. მისი მიხერა-მოხერა, ქცევა-ყოფა მეტად განსხვავდებოდა აფექტაციით. იგი იყო ისეთი გაუთლელი, უსიამოვნო და დაურიდებელი, რომ არავის არ უყვარდა. სულ ყველაზე მეტად კიდე პიკარდას არ დაენახებოდა ხუცესი. მაგრამ ვინაღდანაც პიკარდა იყო ქვეიანი ქალი, ხუცესს უსასუხა ასე:

— თქვენ რომ გყვარებდით, სულიერ მამას, ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. მე ვალდებულად ვარ და კიდევ სულითა ზე გულით მეყვარებით. მაგრამ ჩვენს წმინდა სიყვარულს ცოდვის აზრდილი არ უნდა შეეხოს. თქვენ ბრძანდებით ხუცესი, ჩემი სულიერი მამა, უახლოვდებით მოხუცებულ-

ტაცა; ბატკნის ტყავებში შეიგორგლნენ და მათაც ახალ ხმებზე ააქედრეს სიმები. გველ-ვეშაპი გაირიყა, გამარტოვდა; ცალი თავიც თითქოს მოუკვდა და სულს ლაფავდა.

მაგრამ საიქიოს აჩრდილმა ბნელეთის სამეფოდან მას ძალ-ღონე მოაკრებინა; ცხოვრების ნაძირალბებზე დაყრდნობილმა და მათი გახრწნილი სულით შთაბერილმა გველ-ვეშაპმა შურის სძიებლად ჯოჯოხეთურად ამოძრავა თავისი შხამიანი მანქანა.

უმაგალითო, დიდებული ბრძოლა გაჩაღდა თვალ-უწყვედნელ სივრცეზე. ქვეყანა კიდით კიდემდე ძირ-ფესვიანად ირყეოდა; ისმონდა საერთო გრგვინვა და ყოინა, საზარელი გმინვა ოხერა და ვაება. დღემიწა ურიცხვი გვაგმებით იფინებოდა; ქვეწარმავალნი ისრისებოდნენ, ნათელი ძალებიც იეულიტებოდნენ. წითლად შეღებილი და ერთმანეთში არეული ცა და დედა-მიწა ჯოჯოხეთად გადაქცეულიყო. ყველგან სისხლის მორავები დგებოდა. გველ-ვეშაპი თვალეზიდგან ცეცხლს აფრქვედა, პირიდგან შხამს ანთხევდა და თბილ სისხლს გაშვავებით ეწაფებოდა.

სასწორი ბნელეთმა გადახარა; ტარტა-

ლობის ხანას, აი, ამ ორი მიზნის გამო თქვენ უნდა მოეროდით ცოდვას. მე ხომ ქალწული აღარა ვარ და არც მოვიწონებ თავს მისთვის, რომ შეარწყობინა. მე ვარ ქერივ-ოხერი. ქერივები კი ჰატორისნად უნდა იცავდნენ თავის თავს. ამიტომაც მომიტყევით, თუ ისე არ მეყვარებით, როგორც თქვენ გნებავსთ და არც მე მინდა, რომ თქვენ ისე გიყვარდეთ, როგორც ეგ თქვენ გნებავსთ.


ხუცესმა, მიუხედავად ყოველ გვირკილისა, რომელიც ამ ჟამად ამოა გამოდგა, ფარ-ხმალი არ დაჰყარა. უფრო გულ მოდგინედ და დაურიდებლად შეუდგა განზრახულ საქმეს. მიაცივდა ქერივს და აღარ ეშვებოდა, — ხან წერილს უგზავნიდა, ხანაც, თუ სადმე შეხედებოდა, პირდაპირ ემუღღარებოდა.

ყველა ამან თავი მოაბერა ქერივს და კიდევ განიზრახა მან ამ ხუცესის თავიდან მოცილება იმ ნაირი საშეაღებით, როგორის ღირსიც იყო ის. ძმების დაუკოთხავით მინც არ შეუდგა საქმეს. ჯერ იმას მოუყვა, რომ ხუცესი აედევნა და არ შორდებდა, მერეც იმას, თუ რა წინა ხუცესის წინააღმდეგ ჩასადენიად-ძებნა მოუწონეს და თავისი განზრახული და კიდევ წავიდა პიკარდა ტაძარში. დაინახა თუ არა ხუცესმა, დაუყონებლივ ამოუდგა გვერთში და ჩვეულებრივად გაუქიმა მეგობრული მასლაათი. დაინახა

როზი ურიცხვ გვაგმებზე მეჯლისობდა თავის გამარჯვებას. ყველაფერი შეიხუთა, შეიბორკა და კვლავ სამარისებური სიმშვიდე დაეყარა.

ბუდიდგან ამოვარდნილი ცხოვრება გველ-ვეშაპმა სისხლით გაბანა და დროებით ისევ ძველ კალაპოტში ჩააბრუნა. ცილგან კუბრივით შავი ღრუბლები ჩამოწვენენ...

გაიმარჯვა ბნელეთმა, მაგრამ გველ-ვეშაპის ბუნავში მინც შეიქრა სინათლის სხივი. ახალმა ცხოვრებამ ისარი სტყორცნა ცალ-თავა გველ-ვეშაპს, მარცხენა თვალში ჩაერქო. გამწვანებულმა სისხლისმსმელმა აფორიაქა ბნელეთელები და თვალდან ისარი მოიშორა. ამ გვირავთ ჩაქრა პირველი საერთო ლამპარი. მაგრამ ცხოვრებამ ხელ-მეორედ ახლა მარჯვენა თვალში უთავაზა იგივე ისარი პირველზე უფრო მაგრად და ლახვარავით ჩაერქო თვალში, მაგრამ გველ-ვეშაპმა ესეც ამოიძრო და შორს, შორს გადასტყორცნა. ამის შემდეგ ის ველურად იბრძვის ვაპწარბული, დაბრმავებული და ოდესღაც უარეველი, მაგრამ ამოთ! ახლო მომავალში ის ისტორიის ჩარხ ქვეშ მოყვება და ერთხელ და სამუდამოდ გაისრისება.



მშვილობით ჩემო პარლამენტო!

თუ არა ქერივმა, მიიღო მეტად მხიარული და თავაზიანი სახე. გაიხმო ხუცესმა კუთხეში და ისევ და კიდევ თავის სიყვარულზე ჩამოუგდო არაკი. ქერივი გულმოდგინეთ უსმენდა და ბოლოსაც მიუგო:

— ხშირად გამოვონია, მამაო, რომ არ ყოფილა ჯერ ისეთი ცხე, რომლის აღებაც არ შეძლებოდეს ხანგრძლივ ალყის შემორტყმას. ეგვევ დამემართა მეც. თქვენ ასე დიდ ხანს შემომადექით მე და სხვა და სხვა ნაირი აღრესით შემზღუდეთ. ბოლოსაც დამჯაბნეთ და მეც გადავწყვიტე: თუ ეს თქვენთვის საწყენი არ იქნება, მე თქვენი ვარ!

— ეჰ, როგორ გამოვთქვა სამაგიერო მადლობა, ჩემო შვილო?! შეჭკივლა აქცლოპინებულმა ხუცესმა. მართალი რომა ვსთქვა, მეტად მიკვირდა, რომ ამდენ ხანაც არ მწებდებოდით. აროდეს ასე არ გამძნელებია საქმე. მე მუდამ ამას ვიზებირებდი: ქალი რომ ვერცხლდაც იტყეს, მისგან ფულის გამოკედა არ შეიძლება, ვინაიდანაც უროს დაკვრას ვერ აიტანს. მაგრამ ამას თავი გაუნებოთ. მიბრძანეთ—სად და როდის ვინახულვებთ ერთმანეთს?

— როცა ინებებთ, მიუგო ქერივმა: მე ხომ ქმარი, არა მყავს, რომ ანგარიში გავეწიო მისი, თუ როგორ გავატარე ღამე. მაგრამ სად—აი, საკითხი; მე თვითონ არ ვიცი—სად.

— როგორ იყო სად? სად და თქვენსა. — მიუგო ხუცესმა.

— ეჰ, მეგობარო! თქვენ განა არ იცით, რომ ჩემს სახლში ჩემი ორი ძმაც ცხოვრობს? იგინი დღისითაც და ღამითაც—თითქმის სულ შინ არიან. ამასთანავე იმათ მუდამ სტუმრები ყავთ, ჩვენი სახლი

ქერივს ყავდა მოსამახუერ გოგო. ხანში უსვულიც იყო ეს გოგო და მეტად გონჯიც. ჩაქვლეტილი ცხვირი ჰქონდა, მოქცეული ტუჩები მსხვილი ჩარბებით, ღორის ეშვებს მიუგავდა კბილები; თვალები მუდამ ტკივოდა და კირწლით ქონდა გადავლილი; პირის სახე ისე შავი ქონდა, რომ კაცს ეგონებოდა, იგი ცხოვრებდა არამც თუ ფიეზოლემში, —სინიგალიაში; ამას გარდა იგი იყო კუზიანი და ფერდ შევარდნილი. თუმცა ჩუტა ერქვა, მაგრამ მახინჯი აგებულობისათვის მას დაარქვეს ჩუტაცა. მიუხედავად ამ უსიამოვნო შეხედულებისა მას არ აკლდა სიკვდიტე.

ამის იმედით ახერხებდა ყოველისფერს ქერივი. დაუძახა ჩუტაცას და უთხრა:

— გამოვანე, ჩუტაცა. თუ შენ იმას იხამ ამაღამ, რასაც დაგარიგებ, ერთ ახალ პერანგს გაჩუქებ.

— ერი-ჰა! ახალ პერანგისათვის ცეცხლშიდაც გადავარდები, სთქვა ჩუტაცამ.

— კარგი და პატიოსანი. აი, საქმე რაა: მე მიხდა, რომ შენ ამაღამ მოისვენო ერთ კაცთან. კარგად უნდა მოეფერო; მაგრამ კრინტი არ დასძრა, თუ არა გაიგონებენ ჩემი ძმები. ხომ იცი, რომ ჩემსა და იმათ ოთახ შუა მცირეოდენი ხმაც გზღის. თანახმა ხარ—მიიღებ პერანგს.

— თუ გნებავს, ექვსთან მოვიხვენივ, არამც თუ ერთთან, მიახალა ჩუტაცამ.

ჩამოღამდა თუ არა, გამოძახდა ხუცესი იმ რივად და იმ გზით, როგორც მას ჰქონდა ნაჩვენები. ქერივის ძმები და ქერივი ერთად იყვენ ცალკე ოთახში თავმოყრილნი და ხმა მადლა ყირყიყო-

კი პატარა სახლია. ასე რომ ჩემსა მობრძანება თქვენთვის საშინაოა. ჩვენ მაშინწყვილიაში ბოდილი დავგვირდებოდა; დავგვირდებოდა კუჭხურებში მიმაღა და ფეხ აკრებით სიარული. ერთი სიტყვით თავისუფლად სულს ვერ ამოვიღებთ და მცირეოდენი შლიგინი ხომ გავგეცემს! ხომ მაშინვე შემოვივადებთან ჩემს ოთახში! იმათ ოთახს და ჩემს ოთახს ერთი ფიცრის კედელი ყოფს. ხმა თავისუფლად გადის. ვერ დაამტკიცებ, რომ იქიდან ღვთის წყალობა არ მოგაძახხონ.

— რას ამბობ? ერთ-ორ ღამის გატარებას კი მოახერხებს გამოცდილი კაცი თქვენსა. მერე მე თვითონ გამოვძებნი თავისუფლად ბინას.

— როგორც გნებავს, მიუგო ქერივმა. ერთ რამეს კი გთხოვთ—ყოველივე ეს უნდა დარჩეს ჩვენს შორის.

— მაგის ხათრი ნუ გექნებათ, ჩემო შვილო, უბასუხა ქშენით ხუცესმა; მხოლოდ ეცადეთ, რომ ამაღამვე შევიყაროთ თავი.

— დიდის სიამოვნებით, მიუგო ქერივმა. აუხსნა, თუ როგორ უნდა მისულიყო მასთან და კიდევ გაბრუნდა ტაძრიდან შინ.

ბდენ. ამისათვის ხუცესი დიდის სიფრთხილით შეეცოდა მისთვის მიჩენილ ოთახში და პირ და პირ უსწორა ქვეშაგებს, სადაც ჩუტაცა უკვე გორავდა. ხუცესს ეს ეგონა ქერივი და გულმოდგინეთ ჩაიხვია მკლავებში ჩუტაცა. შეიქნა ხვევნა-კუნა ორივე მხრით. შეუღდა ხუცესი ბედნიერების ყვავილების კრეფას, რადგანაც წარმოდგენაში ეხატებოდა, რომ იგი მისწვდა თვის ღვთაების დაპატრონებას.


ქერივმა თავის მხრივ თხოვა ძმებს მისი გეგმა დემთარებინათ და იგინიც სიფრთხილით გავიდნენ თვისი ოთახიდან. გავიდნენ მედანში და იქ, რისი ვაკეთებაც უნდოდათ, ბედმა უკეთ მოუწყოთ, ვიდრე ელოდნენ.

— ერთობ ცხელოდა. ეპისკოპოსი, რომელთანაც მიდიოდნენ, აქ შამოყვარათ. შინიდან გამობრძანებულყო და მობრძანდებოდა ამითთან, რომ მათთან ერთად ორიოდ ქიკა ღვინო შეესვა. შეხვდნენ, გაიხარეს და გამობრუნდნენ შინ. მივიდნენ გრილ ეზოში; შესვეს ორიოდ ქიკა ღვინო თუ არა, ძმებმა მოახსენეს ეპისკოპოსს:

— მიუფეო! ვინაიდან თქვენ ინებეთ თქვენი მობრძანებით ჩვენი გაბედნიერება, ჩვენ გვერდა ერთი რამ იხილოს თქვენმა ღამაზე თვალვებმა, რომელსაც ახლავე განახვებთ. ეპისკოპოსმა სრული თანხმობა გამოაცხადა. ერთმა ძმამ აიღო ხელში ჩირაღდანი და გაუძღვა წინ. უკან გაჰყვენ ეპისკოპოსი და, ვინც იქ იყო—ყველა. წინამძღოლმა იგინი შეიყვანა იმ ოთახში, სადაც ხუცესი და ჩუტაცა შეექვიოდნენ. ხუცესს უკვე მო-



ვ უ ლ კ ა ნ ი.



მონადირეს ამბავი: ერთხელ, მე რომ სანადიროდ ვიყავ, წარმოიდგინეთ, ორი ღოღი და ერთი ვეფხი დამეცნენ თავს, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ გონება დამეკარგოს! ამის დასამტკიცებლად სწორედ ამ დროს, მანამ თოფის ჩახმახს ფეხზე დავაყენებდი, ჩემი ტანსაცმელის ღილების თვლა დავიწყე.

ტეხოდა კისერი და დაძინებოდა. ხელეზში შეშეშებოდა ჩახვეული ჩუტაცა. წინამძღოლმა ეპისკოპოსს ნათლად დაანახვა ხუტესი.

ჩირადნის ბრიალზე თვალები შეუთამაშდა ხუტეს და აკი გაეღვიძა. დაინახა

სინათლე და ხალხი; შეკრთა და თავიდან ფეხებამდე საბანში გაეხვა. ეპისკოპოსმა დალახვრა და უბრძანა, რომ თავზე საბანი გადაეძრო და დაენახებინა, თუ ვისთან განისვენებს იგი. ხუტესი ახლა კი მიხვდა, რომ ქერივმა იგი მოატყვილა.

როგორც ამისათვის, ისე მისთვის რომ იგი ნამუს ახდელი შაიქა, მეტად დაღონდა. ეპისკოპოსმა უბრძანა მას, რომ ამ წუთშივე ჩაეცვა. დაადგა ჩადენილი დანაშაულისთვის ეპიტიმია და ყარაულებს გაატანა შინ.

ეპისკოპოსმა მოინება დაწერილებით იმ ამბის გაგება, თუ როგორ მოექცა ხუტესი ჩუტაცასთან ამ ოთახში. ახალგაზრდა ძმებმა უამბეს ყოველის ფერი, რაც მოხდა. ეპისკოპოსმა მოისმინა ნაამბობი და ძალიანაც მოიწონა ქერივი ქალის საქციელი. ახალგაზრდა ძმებსაც მოუწონა თვისი თავდაქერილობა იმ შემთხვევაში, რომ სისხლ დაუღვრელად ჩააქერეს საქმე. ხუტესს ხომ ეკადრებოდა სიყვდილი! ამ დანაშაულის ჩადენისათვის ეპისკოპოსმა ხუტესი ორმოცი დღით ჩასვა ციხეში, რომელ ხნის განმავლობაშიდაც მას უნდა ცრემლის ღვრით მოენანებინა თვისი ცოდვა. მაგრამ მოტყუებულ სიყვარულით გულ-გახეთქილი ის უფრო ხანგრძლივად დასტიროდა ამ სიყვარულს. დიდხანს ამის მერეც იგი თავს ვერ ყოფდა ქუჩაში, მისთვის რომ ბავშვები დაეღვენებოდნენ, უთითებდნენ მახე და გაჰკიოდნენ: აი, ის ხუტესი, ჩუტაცასთან რომ იწვავა! ეს გარემოება ისე სტანჯავდა ხუტესს, რომ იგი კინაღამ კეჟიდან არ შაიშალა. ამ ნაირად ღირსეულმა დედა-კაცმა დასაჯა აღვენებული ხუტესი; ჩუტაცამ კი ფეშქაშად ახალი პერანგი მიიღო.

კ რ ი შ ა.

ჩ ი ნ ი.

წვიმა იყო საშინელი. გარეთ აღარ გაისვლოდა. — გვერდით მიჯდა ჩემი ცოლი, იცინოდა და ხუმრობდა.

ვლაცბობდით და ელაზნანდრობდით მზიარულად მთა და ბარზე; ბოლოს ჩემი ცუგრუმელა ხუმრობაში გაეაბრაზე.

გაწყრა ღმერთი და წამომცდა: „ნიკოს მოუვიდა ჩინი.

ესლა დიდი კაცი არის—

მართებს გაგვიმართოს ღზინი!“

უტბად მკითხა ჩემმა ცოლმა:

როცა შენ მიიღე ჩინი, უფროსებს და ამხანაგებს შენც ხომ გაუმართე ღზინი?

უპასუხე: „უჩინო ვარ.

მგონი,“ არც კი ვვიღრსები.

ჩემი ჩინი მარტო შენ ხარ,

და პენსიაც შენ იქნები!

ესა ვსთქვი და ჩემმა ცოლმა უტბათ მტანჯვა მაპყარა, თქვენს ლატერს ჰქონდეს უარესი, დღე მე ამან დამაყარა!

შემომწყრა და შემომყვირა...
 „რათ ხარ ასე ჯინიანი?
 ნუ თუ მართლა აქამდისინ
 არ ხარ, კაცო, ჩინიანი?...
 ღმერთო მომაკლ! ტუტუტუცადეს
 შუბლზე ჩინი აკერია...
 და ჩემს ქმარს კი ჩინი არ აქვს!
 ეს რასა გაეს? რა ფერია?!
 ცხვირადეს რომ ორდენი აქვს,
 ის რით არის შენზე მეტი?
 რაქველს სამი უკიდია
 ორდენი და ეპოლეთი!..
 ერთს შენ მაინც მიიღებდი,
 თუ კი ყველას ურიგებენ!..
 უჩინობა, რომ გაგიგონ—
 კაცათ აღარ ჩაგაგდებენ!
 თუ გიყვარდი, ხვალვე მიდი,
 ნუ ხარ აგრე ჯინიანი,—
 გუბერნატორს შეეხვეწე,
 რომ შენც ვახდე ჩინიანი.

და თუ არა, დაიჯერე,
 უსათუთო გაგეყრები.
 ვისაც ორდენ ჩინები აქვს,
 ცოლათ იმას შევერთები.
 შემეშინა ცოლის სიტყვამ,—
 მეტი ღონე აღარ იყო,
 შეუდგე ჩინის ძებნას
 და მივიღე, როგორც იყო.
 ეხლა თუმც ვარ ჩინიანი,
 ჯიბე კი მაქვს კარიელი.
 ჩემი ცოლაც კმაყოფილი,
 დღე მულამ მყავს მაღლიერი.

კორტოხა.

მინ რას ფიქრობს ღამე
როცა ძილი გაუპრთება?

ი. გოგებაშვილი. მეფე გიორგი რომ
 ბაიყუში არ ყოფილიყო, ჩვენ ბედს ძა-
 ლლი არ დაყეფდა და სხვის ხელში შემ-
 ჩრე არ ვიქნებოდით.

ნ. ცხვედაძე. ერჯელ კიდევ გავახსენებ
 წერა-კითხვის საზოგ. წევრებს, რომ სა-
 წებრო ფული შემოიტანონ, მერე კი
 „ისპალნიტელნ ლისტ“ გამოვიტან მეტი
 გზა არ არი, ვინც რა უნდა ისა სთქვას.

ვლ. მიქელაძე — თავად აზნაურობის
 ბანკის გამგეობის თავმჯდომარეთ რომ
 გამხდარიყავი ბევრს დარდით გული გა-
 უსკდებოდა.. მათმა სიბრაღეობმა ამაღე-
 ზინა ხელი ამ განძარცავედ.

ს. ფირცხალავა. აგენტებს რომ
 ფული გამოეგზავნათ ჩემი „მიწა“ ახლო
 კოოხობა იქნებოდა.

მწყემისი“ რედაქტორი.— ბევრი სი-
 კეთეც მიქნია და ასეთ ახირებას მაინც
 და მაინც არ მოვლოდი.

ი. ძაკაბაძე. ახია ჩემხედ. მე
 ვზოგვდი და მე კი აღარ დამზოგეს,
 ორკოფობამ ყოველთვის ასე იცის, ღმე-

რთ წინაშე კიდევ მეტად რომ დავებეეე
 უფრო ქკუას ვისწავლიდი.

ქვარიანი — თუ ღმერთმა ქნა და ზღა-
 ნოვიჩის ალაგზედ წამოგსკუბდი ნახე მა-
 შინ ცუგრუმელები როგორ დამეხვევიან
 ერთ ხუთ ანუ ელნას მაინც გავიჩენ.

სოსიკო მერკვილაძე. კანარეციების
 ფასმა რომ დაიწიოს ბირყაზედ, ნამდვი-
 ლათ გავკოტრდები.*)

ბ. აკობია— ღმერთი გამიწყურეს თუ
 ოდესმე „დერორისტი“ ყვოფილიყო.

ლ. მახარაძე.— ვინ დამიჯერებს—თო-
 რემ ჩემი შპიკები თითონ მე შეჯავრებია.

ს. აბაშიძე— მე რაც საიდუმლოება
 ვიცი ის რომ გამოვამჟღავნო, უენო სა-
 ვნებიც კი ალაპარაკდებიან.

ვ. აბაშიძე — ტყუილი იმედია, თა-
 ვადანაურობის თეატრის დამთავრებას
 ვერ მოვესწრები.

გიუმროკრატიის მრწამსი.

(იტალიურიდან).

„შუა ღამე გადავიდა.
 ძილს მოუცავს არე მარე.
 ოცნებობს და ვარსკვლავებში,
 ვით შშობელი—ნაზობს შთავრე.

არსად ისმის ხმაურობა.
 მიწყდა ყეფა, მიხნდა ქავლი.
 სულს სიზმრები იბირავენ,—
 როგორც—ოქრო, ფუტკრებს—თაფლი.

მხოლოდ ერთგან არა სძინავს
 ბიუროკრატს მოხუცებულს,—
 მუხლ-მოდრეკით კითხულობს მრწამს
 გულ-წრფელობით თვისვე შეთხზულს.

„მრწამს და კიდევ აღვიარებ
 ყოვლად ძლიერ ოქროს ხზოს თავს
 და მისსა ძესა მხოლოდ შობილს—
 ჯორს, რომელიც ოქროს შობავს.

მრწამს ექსილი, „პროცენტები“
 მე რომ მგანძავს, სხვას ხუთავს სულს;
 მრწამს „ჩეკი“ და მრწამს კრედიტი,
 ერწამებ ოჯახს, ჩემს მარჩენალს.

თაყვანსა ვსცემ გადასახადს,
 რა გვირიც რომ უნდა იყოს,
 ოღონდ „ოცში“—რომელს ვუქმობ,
 მე ხაზინამ უხვად მიზღოს.

მრწამს და კიდევ იმედი მაქვს,
 რომ პენსიას ხელში ვივადებ;
 და ყელის ჯვარს, ამ ნატერის თეაღს,
 უშეშვლად დავიკიდებ.

მე ვიქნები სული წმიდა,
 ოქროს-გულდას—კერპი, მაშინ!..

*) მართლაც საუკეთესო ჩიტუნები ყავს, არა-
 სოდეს არ დამიწყეს მათი ფასი, ტყუილათ შე-
 შობს. **ასოთ-ამწყობი.**

მრწამს სამება: ოქროს გულა,
 ხზოს თავი და ჯორი. „ამინ.“

სოქვა და დინჯად ჩამოუსვა
 ქალარა წვერს კრეოლოვით ხელი:
 დაფა-ლუფით ჩამოყარა
 ვარსკვლავების მზგავსი ცრემლი.

მას ამ წუთას წწორეთ სწამდა
 თვისი თავის გაღმერთება...
 და ვინც მას გზას გადუღობავს,—
 მისი სული მოლათ წაწყდება!...

კრიჭა.

ქ უ რ ი ო ზ ე მ ბ ი.

მიზანდარაშვილის ქალი მზესა და
 მთვარეს ეთამაშება. ვინ იქნება ისეთი
 ბრმა, რომ მისმა სილამაზემ არ მოხიბ-
 ლოს? ძალიან მდიდარმა კაცმაც ითხოვა
 და შეტრფილებამ ნამყოფი გამოიღო.
 ამისათვის შავი ქვის მრეწველთა „საბჭომ“
 მიუსაჯა მის, რომ მისგან ფეშქაშად მიი-
 ლოს **სამასი მანეთი** ვერცხლის ფული.
 წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილიდან და-
 თხოვნას ემუქრებია, ვინაიდანაც იგი
 მსახურებს „საბჭოში“. თუცა მიზანდარა-
 შვილის ქალი თავისათვის ასეთი სასჯე-
 ლის ატანას დამცირებდა რაცხდა (ის ხომ
 დღეს მდიდარია!) მაგრამ რადგან „საბ-
 ჭოში“ ადგილის დაკარგვა არ ეპიტანე-
 ბოდა, იძულებული შეიქნა, ეს გარდაწ-
 ყვეტილება „საბჭოსი“ საესებით მიედო
 და **სამასი მანეთისათვის** ხელი არ გაე-
 შვა. ნეტა ასეთ სასჯელს გადაუწყვეტ-
 დენ ღარიბ მისწავლე ახალ-გაზღვრბას.
 იგინი სიხარულით აიტანენ ამას!

კირაკოზა.

ჯერ არ ნახულა მთელ ქ. ქუთაისში
 ისეთი ბლეტი და ბლეტი, რომ მას ბ.
 დარახველიძისათვის ღარიბი კაცი დაემა-
 ხნოს. ასეთი დაძახება დარახველიძის ღი-
 რსებასაც დაამცირებდა და დამძახებლის
 პირის წყალსაც წაახდენდა. შავი ქვის
 მრეწველთა „საბჭომ“ კი იგი ასეთად
 ვერა ცნო, როცა მის ორ შვილს „სტი-
 პენდიის“ მიცემა მიუსაჯა და თანაც დაა-
 დგინა: თუ ასეთ შეგნებაზე ბატონი დარა-
 ხველიძე უარს განაცხადებს, მაშინ „საბ-
 ჭო“ დაითხოვს სამსახურიდან ბ. კრინი-
 ცკის, რომელიც „საბჭოში“ მსახურებს.
 ასეთი გადაწყვეტილება „საბჭოსი“ თუ-
 მცა მეტად სასტიკად ცნო ბ. დარახველი-
 ძემ, მაგრამ ვინაიდან არ უნდოდა, რომ
 კრინიცკის ადგილი დაკარგოდა, საესებით
 მიიღო იგი. მეტი გზა აღარაა: ორი შვი-
 ლი უნდა გაზარდოს სამოწყლოდ!

ჭიჭინობელა.

ვექილი ქიქოძე განთქმულია თვისი
 ხელობით მთელს იმერეთში. ვექილობის-

თან შემოსავლიანი წყარო ამ ორი-სამი წლის წინა დროებში აღარაფერი ყოფილა. ოკროვებით ივანძებოდნენ... ბ. ქიქოძე ღარიბიაო, რომ ვინმემ სთქვას, ქუთაისში მას არ ეცხოვრება. მას ყავს ნასწავლი ქალი (საშვალემა საცაა იქ სწავლაცაა, რაღა თქმა უნდა). მაიას ქონებას რომ შეიღის წველილიც მიმატებოდ (ვისაც ქიქონდეს, ემატებოდეს!) შავი ქვის მრეწველთა „საბჭომ“ დაადგინა, თუ ბ. ქიქოძის ქალი „საბჭომ“, არ შემოვიდეს სამსახურში, ბ. ქიქოძეს ბოიკოტი გამოუმცხადოს შავი ქვის მრეწველებმაო. სიტყვა „ბოიკოტი“ ერთობ ტულად მოქმედობს ბ. ქიქოძეზე და იძულებული შეიქნა, რომ თვისი ქალი „საბჭოს“ სამსახურში შეეყენა. ესაა სამართალი!

გულ-მკვდარი.

ქუთაისშია ერთი მსაჯული ბ. აბულაძე. საქველ მოქმედო მავალითებს ჩადის ყოველ დღე; მაგრამ აქამდე ერთი კაცი არ გამოჩნდა, რომ მისი სიიღმუღოება ამცნოს ქვეყანას მისდა სსახელოდ და ქვეყნის სასარგებლოდ.

ამ ვაჟბატონს თვისი ხელ-ქეითნი ისე ებრალებიან, ისე ეცოდებიან, რომ რამდენი უფრო ეძალებიან ჯამაგირი მოგვიმაცე, შიშულით დავიხოცეთო, ის დღითი დღე, კვირით კვირამდე უკლებს და უკლებს. ამ ნაირად ხაზინას შეემატება და როცა ხაზინა სავსეა, ხალხს ცრტაღა ზდება! ამას აქამდე ვერ მიხვდებოდნენ სხვა მსაჯულები მათდა საევალოდ!

შინაური.

ბორჯომი. გახურებული არშიყობაა. წრეგანდლისთანა ჯერ არ ყოფილა. ვისაც გასათხოვარი ყავს, ან სათხოვი—გამოგზავნენ ჩვენკენ. რომელი გასათხოვარი, ან ცოლ-სათხოვი არ გამოუშვას მშობლებმა, მოიგონონ გულის ავთიმყოფობა და საქმე გაიჩარხება. საუკეთესო წამალი გულის და ფილტვების ავთიმყოფობისათვის—ჩირგვნარების ჩრდილში ხვეწნაკონა და აღერსია.

პატივისცემით **გაბრიელ ქეზულაოვი.**

კ რ ო შ ი ნ ც ი ა.

სოფ. ამაღლება (გური). ცნობაღ იესე ჯიბლაძეს მიუშარათვის ოხურგეთის პოლიციისათვის შემდეგი სიტყვებით: ჩემი სახლი—კაცები და მუზობლები რაღაც არა სასიამოვნო თვალთა მიქერიანო. ოხურგეთის პოლიციას მაშინვე შესაფერი განკარგულება მოუხდენია და ამაღლების საზოგადოებისათვის განუცხადებია, რომ იესე ჯიბლაძეს ერთი ღერი ბალანი არ ვაუქანდეს თავზე, თორემ ვაი თქვენი

ბრალიო!.. ესლა, როდესაც ზენა, ან ქენა ქარი ამოვარდება, ბატონ ესეს მაშინვე დებუტაციას უზგაენიან, არ დავგულუო, გარედ არ გამოხვიდე, თავზე ქარმა თმა არ ვაგვიქანოს და მით ტოლ-მაჩოვის რისხვა არ დავიმსახუროთო...

რ. ჭ.

თბილისის მახრა. სამღვდლოება პროტესტს აცხადებს: აღარ გვსურს ქვეყნიური ცხოვრება, ბერობაზე უნდა დავდეთ თავი და სულზე უნდა ვიფიქროთო. ამ მიზნით მამა ტურიეის, გულაბოვის, ჩომაყაშვილს, დიმიტრი მეტრეველს და სხვებს ვანუზრახავთ სახარების ნაცვლად „დეკამერონის“ გამოცემა ეკლესიებში საკითხველათ. ჩომაყაშვილი იმ დღეს ჩვეულებრივ გამოვიდა ქუჩაში და ისე გართულა ლოცვით და დეკამერონის კითხვით, რომ იქვე ჩასძინებია და ტუბილი სიზმარი უნახავს, სადაც თურმე მთელი ღამის განმომამელობაში წმინდა ფერიებთან ღირსებია ნეტარება და მათთან ერთად ფერხულში ჩაბმა თამაში. ხოლო რანაირად გადაიყვანეს თბილისის სამოთხისბაღში, კომუნდატში წმინდა მიქელ-გაბრიელის ლეგიონებმა, ეს არც თვით ნეტარ-მამას ახსოვს. იცის მხოლოდ, რომ მესამე დღეს ეღობა ქვეყნიერების ხილვა, რათა თავის ზემოდ ხსენებულ მოძმეთათვის ტურიეისათვის გულადოვისთვის და მეტრეველისათვის ეცნობებია, თუ რა კარგია სამოთხე და ფერიებთან ფერხულში ჩაბმა.

ბორი. ორჯულ ზედი ზედ მოხდა კონგრესი სრულიად შავ-რაზმელებისა. დიდი კამათი გამოიწვია ა. შვილის პროექტმა: რაც შეიძლება დავაქაროთ და მოვთხოვოთ მთავრობას იარაღი, რომ ტერიორი გაუშვათ სოციალისტების ამოსაქვლეთათაო. მართალია, კონგრესმა უკლებლივ მიიღო ეს პროექტი, რამდენიმე ხმის წინააღმდეგ, მაგრამ სხვა და სხვა მოსაზრებით შეუწყერებიათ... ელიან მესამე სხდომას.

ცხინვალი. ცხინვალის ბოქალური გასოციალისტებულა და იმედს იძლევა: ვეცდები ჩემი უმოქმედობით მობარებულ პროვინციებში არ შევიწუხოვო. დღეიდან ვინადირებ მხოლოდ ორფერა კურდღლებზეო. სამწუხაროთ ხეირიანი შეძებრები ვერ გამოადგენ და ჯერ-ჯერობით? ორი კურდღლის მეტი არ მოუკლავს ნიქოხისა და ცხინვალის შუა ღელეებში. განზრახული აქვს უურნალ-გაზეთებში გამოაცხადოს შემდეგი: „ვეძებ საუკეთესო ჯივის ძაღლებს. ცხინვალი, მაყაშვილი.“

ამბობენ, ინგლისში და ამერიკაშიც ვაუზგაენია ეს განცხადებები გამოსაქვეყნებლად.

ბორი. მეორე დუმის ვარეკაზე აქ შესდგა შერაზმელების უზარ-მაზარი მიტიგნი, რომელმაც გამოიტანა შემდეგი რეზოლიუტია: ეილებთ რა მხედველობაში, რომ მოძრაობა მოკვდა, რაიცა იქიდანა სჩანს, რომ მეორე დუმაც დღე—ნაკლებ ბეგმეივით გადაიცივალა თვითპყრობელობის კალთაში, გულთაღი სიხარულით ვეგებებით ამ დიდებულ და ბრძნულ აქტს და ამიერიდან გულ-დამშემდეგობით ვეძლევით ძველებურ მოსვენებას.

კოხანა



???

ვაცნობებთ პატივემულ ყვირილის საზოგადოებას რომ 26 ივნის დღის 12 საათზედ ბატ. ლევიანჩის სასახლეში გამართული იქნება ბანკეტი ვარდენის და სოგრატის პატივსაცემათ სადღიო ეღირება საიმედო პირთათვის 2. მან. (დასწრების ნებაც მიეცემა) არა საიმედო პირებისათვ 3. მან. (დასწრების ნება არ ექნება) მენიუ:

- 1) ბორში.
- 2) კატლეთი
- 3) შემწვარი გოქი (ვარ. საყვარელიძის ნაყიდი არ გეგონოსო) შამპანიური (გორაევის დაყენებული.) და სხვა და სხვა ხილულობა (ცხაკიას ბაღიდან.) დასასრულ იქნება ზურნა და ლიპლიპიტო (რევაზიშვილის ლოტბარობით.) დავრულს ითაპაშებს, ყიფიანი და ლოლოძე.

დავკარგე უცაბედად 25000 მან, ვთბოვ პოვენელს წარმომიდგინოს მე ჯილდოთ მიეცემ 250. მანეთს სიტყვას ვიძლევი პოლიციის არ წარუდგენ. ჩემი აღერსი: გოლოვინის პროსპექტი—მუხეუმის წინ დლიდან საღამომდე სკაპზე ვზივარ.

სუყველას საყურადღებოთ ვაცხადებოთ, რომ რადანაც, პორტმანის დავდებოთა და სხვა ხრიკებით ვერავის ვეღარ ვატყუებოთ, ამისათვის ესთხოვთ პატივემულ საზოგადოებას, რომ ტრამვაის ვაგონზე ასვლა ჩამოვიღის დროს, ნუ იქონიებენ პინჯაკის დღეზე შეკრულს, ვინაიდან გვიძნელდება ეთვეტკის ჯიბლდან ფულის ან საათის ამოკცება!.. პატივისცემით სხვა და სხვა უნდას **ჯიბგარი.**

წერილი რედაქციის მიმართ.

მ. ხ.

მთავრად გამოაცხადოთ თქვენს პატივ-
ცემულ იუმორისტულ ჟურ. „მასხარაში“,
რომ მე არასოდეს არ მიმიღია მონაწი-
ლეობა და არავითარი წერილი არ გამო-
მიგზავნიან არც სობრატ აბაშიძის და არც
სხვა რომელიმე პირის შესახებ თქვენ მიერ
გამოცემულ ჟურნალში.

კალენიკე საყვარელიძე.

რედაქციის საგან.

რედაქცია აცხადებს, რომ კალენიკე
საყვარელიძეს რედაქციისათვის არავითარი
წერილი არასოდეს არ გამოუგზავნიან.—ამა-
სთანავე არ შეგვიძლია მწუხარებით არ
აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ინტელიბენტცია ისე
დაეცა სულით, რომ ვიღაც ს. აბაშიძის
ბაბრახების შიშით იძულებული ხდება
გაზეთში საჯაროდ გამოაცხადოს, რომ—ეს
და ეს წერილი მას არ ეკუთვნის და
ბრალდებისაგან გამანთავისუფლოთ! კერ-
ძით ს. აბაშიძის საყურადღებო ვიტყვით,
რომ წერილი გამოგზავნილია მისი „ლა-
გერიდგან“, ტყუილად ლობე-ყორებს ნუ ედგება
და. გავრწმუნებ ამისა ნურავის ძეგბს.—ვარ-
წმუნებთ სოგრატ რაინდს, რომ მის ბა-
ნაკში არც ისე ერთ სულოვნობაა, როგორც
მის ჰგონია. მოლაგან თქვენშიდაც
არის. ციხე შიგნიდან გატყდა და კიდევ
შიგნიდან გატყდებოდა.

„მასხარას“ ფოტობა.

დ. ყვრილაშვილი. — კუროპატიონი
უკან ნუ იხვეით საბუთი ბამოგზანეთ და გა-
მოვაშკარავებთ, რასაც იწერებთ, გაცივით,
მაგრამ არა გიშავსთ რა.

რედ. გამომცემელი კ. ვინეცკი.

განცხადებანი.

ა მ მ ო კ ლ ე ხ ა ნ შ ი ა გ ა მ ო გ ა
ო რ ა ვ ი რ ა უ ლ ი შ უ რ ა ლ ი

„რ ი უ რ ა უ ი“

მონაწილეობას ღებულობენ ცნობილი
მწერლები ახალ-თაობისა.

№-რი შეიცავს 100-დე გვერდს და ელი-
რება 20 კაპ.

რედაქციის საქმეების შესახებ მოლაპა-
რაკება შეიძლება სტამბა „სორაპანი“ში.

ახალი ელექტრომბეჭდავი სტამბა

აზხ. სორაპანი

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმე-
ებს დაკლებულ ფასებში.

სტამბა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე
ქ. მუხრანსკის სახლში № 1.



თამაში იწყება.



ვ ვ ა.

სულ მოკლე ხანში სადგურ აქსტაფაში
განთავისუფლდება ადგილი შკაფიდგან
წიგნების გამყიდველი ქალისა. ჯამაგირათ
15 მანეთი და 15³/₄ ქ. ექნება. ამას გარ-
და საჯარო ვაჭრობით გაიყიდება—დარ-
ჩენილი ჟურნალ-გაზეთები კაბის, პუდრის,
უმარულის და სხვა ქალთა სამკაულის
გამოსახვევით და ერთიკ თმის დასახუ-
ტუქტებელი „მაშინკა.“ ქალი თუგინდ
ყვითელი, გინდ სულ უშნო იყოს, სულ
ერთი. ოღონდ ცოტა „ნეწათ“ ლაპა-

რაკი და ენის იქით-აქეთ მიტანა იცოდეს
და საჩუქრათ მიცემული „მაშინკის“ ხმა-
რება შეეძლოს. ამასთან ვაუწყებ პატივ-
ცემულ საზოგადოებას, რომ ზემო აღნი-
შნული ადგილი შესანიშნავია, როგორც
საუკეთესო საშვალეა უშნო ქალის გა-
სასაღებლად.

ძლიერ ხელ მისაწოდებ ფასებში იყიდე-
ბა ახლად მიღებული სასღვარ-გარეთიდან
ოღე-კლონი „დანოსი“ — იკითხეთ ოზუ-
რგეთში ხუნდაძესთან. (მ—1).